სს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს ელექტრონულ აუქციონს მის საკუთრებაში არსებული ვენდინგ აპარატებისა და ცალკეული ფართების დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით

დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გასაცემი ქონების ელექტრონული აუქციონი ტარდება ერთ ლოტად.

1. **სააუქციონო ქონების ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:**

1.1 სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში „რკინიგზა“) საკუთრებაში არსებულ ოთხ ერთეულ GRS სერიის (Stadler) ელექტრომატარებლებში განთავსებული 8 საკვები პროდუქტების სარეალიზაციო აპარატი (თითოეულ მატარებელში განთავსებულია ორი ერთეული აპარატი: PALMA H70 და MISTRAL H85) (შემდგომში „ვენდინგ აპარატი“), რომლებზეც ამჟამად დამონტაჟებულია 8 ერთეული ქაღალდის ფულისა და 8 ერთეული მონეტების მიმღები (ამომცნობი) აპარატი.

1.2 „რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული GRT სერიის 3 ერთეულ ელექტრომატარებელში განთავსებული 3 ერთეული ვენდინგ აპარატი (MISTRAL H70) და ამავე მატარებლებში (თითოეულ მათგანში) გამოყოფილია დაახლოებით 60X60 სმ^2 ფართი ცხელი სასმელების სარეალიზაციო აპარატის ან კომბინირებული ვენდინგ აპარატის განსათავსებლად. ცხელი სასმელების სარეალიზაციო აპარატების შემოტანა და დამონტაჟება უნდა უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა კომპანიამ (შემდგომში „ოპერატორი კომპანია“).

1.3 „რკინიგზის“ სადგურში „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“ (ს/კ: 29.11.03.621) მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში (იხ. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი) გამოყოფილი ფართი (2 მ^2), სადაც აუქციონში გამარჯვებული კომპანიის (შემდგომში „ოპერატორი კომპანია“) მიერ უნდა განთავსდეს ერთი ერთეული **კომბინირებული** (კვებისა და ცხელი სასმელების) აპარატი ან 2 ერთეული არაკომბინირებული (1 ერთეული კვების და 1 ერთეული ცხელი სასმელების) აპარატები.

1.4 „რკინიგზის“ თბილისის სალოკომოტივო დეპოს (მის: თბილისი , ზესტაფონის ქუჩა N22ა) ადმინისტრაციული შენობის (ს/კ: 01.12.12.011.035) პირველ სართულზე განთავსებული, სასაწყობე დანიშნულების 66 კვ.მ ფართი.

1.5 საიჯარო ქონების შესახებ სრული წარმოდგენის შექმნისთვის აუქციონში მონაწილე პირი, უფლებამოსილია დაათვალიეროს ქონება და ფართები.

1.6 მოიჯარე ვალდებულია, მისთვის გადაცემული ან მის მიერ მოწყობილი სასაწყობე ფართ(ებ)ი მოაწყოს იმგვარად, რომ პასუხობდეს საიჯარო ხელშეკრულების,სურსათის უვნებლობის, პროდუქციის უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა კანონმდებობლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. **საუქციონო ქონების საწყისი საიჯარო ფასია 21 320 (ოცდაერთი ათას სამასოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (ფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N1-ში)**

2.1. ბიჯი - 180 (ასოთხმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (ფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N1-ში);

2.2 საგარანტიო თანხა/ბე - **86 000 (ოთხმოცდაექვსი ათასი)** ლარი დღგ-ს ჩათვლით **(ფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N1-ში)**; „ბე“-ს თანხა განსაზღვრულია 4 თვის საიჯარო ქირის ოდენობით, რომელიც გათვალისწინებული იქნება იჯარის ხელშეკრულების ბოლო 4 თვის ანგარიშსწორებისას.

უპირობო გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა 2 კალენდარული თვის ვადით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.3 დროებით სარგებლობაში გადაცემის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 კალენდარული თვე;

3. **აუქციონის დასრულების თარიღ(ებ)ი: დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;**

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 ქონების დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით გადაცემა განხორციელდება ვებ-გვერდზე www.eauction.ge. აუქციონი გაიმართება www.eauction.ge-ზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების შესაბამისად (თან ერთვის);

4.2 ინტერნეტ-აუქციონში გამარჯვებულთან ფორმდება ქონებ(ებ)ის იჯარის ხელშეკრულება, იმ პირობების გათვალისწინებით, რომლ(ებ)ის შინაარსი გამოქვეყნებულია ლოტის საინფორმაციო ველში (საუქციონო პირობებისა და ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა თან ერთვის);

4.3 იჯარის ხელშეკრულების გაფორმების ვადა: აუქციონის დასრულებიდან - არაუგვიანეს 30 კალენდარული დღე;

4.4 მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ობიექტ(ებ)ზე (მათ შორის, მისთვის გადაცემულ ტექნიკურ საშუალებებზე) დაიცვას სარეალიზაციო პროდუქციის მოვლა-შენახვის, სანიტარულ-ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებელი უსაფრთხოების ნორმები.

5. განსაკუთრებული მითითებები:

5.1. სარეალიზაციო პროდუქციის მიმართ:

- კვების აპარატების საშუალებით მგზავრს უნდა შეეძლოს, ისარგებლოს, სულ მცირე, შემდეგი ტიპის პროდუქციით:

- ✓ ე.წ „სნეკის“ ტიპის პროდუქცია, როგორიცაა ორცხობილა, კრეკერები, კანფეტები ან/და შოკოლადები ან/და სხვა ამგვარი ტიპის პროდუქტი.
- ✓ სენდვიჩები, რომლის ვარგისიანობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს და რომელიც უნდა იყოს შეფუთული თერმულად, ვაკუუმში ან/და სხვა იმგვარ შესაფუთ მასალაში, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის უსაფრთხო შენახვას; სენდვიჩები აპარატში უნდა განთავსდეს არაუგვიანეს დამზადებიდან 48 საათის განმავლობაში.
- ✓ უალკოჰოლო გამაგრილებელი (ცივი) სასმელები;
- ✓ სასმელი წყლები (როგორც არაგაზირებული, ისე გაზიანი და/ან მინერალური წყალი)

- ვენდინგ აპარატებში შესაძლებელია განთავსდეს სხვა პროდუქციაც, რომლებიც წინასწარ შეთანხმებული იქნება სს „საქართველოს რკინიგზასთან“; -

- იმ შემთხვევაში თუკი „რკინიგზას“ გაფორმებული ექნება ხელშეკრულება, მატარებელში დასარიგებელი გამაგრილებელი სასმელების (არაგაზირებული, გაზიანი სასმელი წყლის და/ან მინერალური წყლის) მწარმოებელ/მომწოდებელ კომპანიასთან, „ვენდიგ აპარატებში“ უნდა გაიყიდოს მხოლოდ აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოებული სასმელი წყალი (არაგაზირებული, გაზიანი და/ან მინერალური წყალი)

- პროდუქციის დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პირობები უნდა შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს/სტანდარტებს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უსაფრთხოების პირობები უნდა იქნეს დაცული ყველა ზემოთ აღწერილი პროცესის დროს.

- ვენდინგ აპარატებში შესაძლოა, განთავსდეს ბურგერები, როლები და გამომცხვარი პროდუქცია, რომელთა ვარგისიანობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს და რომლებიც უნდა

იყოს შეფუთული თერმულად, ვაკუუმში ან/და სხვა შესაბამის შესაფუთ მასალაში, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის უსაფრთხო შენახვას; ასეთ შემთხვევაში, პროდუქცია აპარატში უნდა განთავსდეს არაუგვიანეს დამზადებიდან 48 საათის განმავლობაში.- პრუდუქციის შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს ინფორმაცია პროდუქტის შემადგენლობის და ვადიანობის შესახებ ქართულ ენაზე; ოპერატორმა კომპანიამ მკაცრად უნდა აკონტროლოს პროდუქციის ვარგისიანობის ვადები და არ დაუშვას, ვადაგასული პროდუქტის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომობის ფაქტი;

- ვენდინგ აპარატებში განსათავსებელი სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტი და თითოეული ერთეულის ფასები **წინასწარ**, **პროდუქციის განთავსებამდე** უნდა შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან";
- სავაჭრო აპარატებში ჩატვირთული პროდუქციის ხარისხსა და მის უვნებლობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ოპერატორ კომპანიას. ამასთან, იგი ვალდებულია დაიცვას „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები და სავაჭრო აპარატებში ჩატვირთული პროდუქციის რეალიზაციისას ბოროტად არ გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა;
- სავაჭრო აპარატებში პროდუქციის ჩატვირთვა და მათი დასუფთავება უნდა უზრუნველყოს ოპერატორმა კომპანიამ მატარებლების რეისში გასვლის წინ, როგორც ქ. თბილისში (თბილისის სალოკომოტივო დეპო, მის: ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. N22ა), ასევე ქ. ბათუმში (ბათუმი ცენტრალის ტერიტორია); GRT-ს ტიპის მატარებლებში განსათავსებელი აპარატების მომარაგება უნდა განხორციელდეს რეისში გასვლის წინ ქ. თბილისში (თბილისის სალოკომოტივო დეპო, მის: ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. N22ა);
- ელექტრომატარებლებში დამონტაჟებული სავაჭრო აპარატების (Vending Machines) ტექნიკურ მომსახურებასა და მათ გამართულ ექსპლუატაციაზე, საკუთარი სახსრებით, პასუხისმგებელია ოპერატორი კომპანია. აღნიშნული ვალდებულების შესრულებისათვის, აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობები და აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა აპარატის ყოველდღიურ მონიტორინგსა და ხარვეზების აღმოფხვრას რეისის დასრულებისთანავე **(მობრუნებისა და ფორმირების პუნქტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს 24 საათიანი მომსახურება).**
- ოპერატორი კომპანია, საკუთარი სახსრებით პასუხისმგებელია, ვენდინგ აპარატების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფაზე.
- სავაჭრო აპარატის მეშვეობით არ დაიშვება ცხელი საკვები პროდუქტების რეალიზაცია. მატარებელში ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა კატეგორიულად აკრძალულია.
- **ყავის აპარატების საშუალებით** მგზავრს უნდა შეეძლოს ისარგებლოს მინიმუმ შემდეგი ტიპის ცხელი სასმელებით: ხსნადი ყავა, რძიანი ყავა, ცხელი შოკოლადი. შესაძლებელი უნდა იყოს შაქრის სასურველი რაოდენობის არჩევა.
- გასათვალისწინებელია, რომ GRT-სერიის ჩქაროსნულ მატარებლებში (3 მატარებელი), თითოეულ მატარებელში, შესაძლოა განთავდეს მხოლოდ 1 (ერთი) ცხელი სასმელების სარეალიზაციო აპარატი.

5.2.აუქციონში მონაწილე კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნები:

- აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრება/რეაბილიტაცია) საქმის წარმოება ან/და ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის/რეგისტრაციის გაუქმების პროცესი, არ არის რეგისტრირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში და არ ადევს ყადაღა. აღნიშნულის დასადასტურებლად, აუქციონში გამარჯვებულმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ცნობა შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოდან/სასამართლოდან.

- აუქციონში მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს ვენდინგ აპარატებით პროდუქციის მიწოდების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ან/და 2022/2023 წლების განმავლობაში, სულ მცირე, 2 500 000 ლარის ბრუნვა, რაზედაც აუქციონის დასრულებიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

- ✓ ოპერატორმა კომპანიამ, სავაჭრო აპარატებით (Vending Machines) პროდუქციის მიწოდებისა და საკვები პროდუქტების წარმოება/მიწოდების გამოცდილების დასადასტურებლად, აუქციონის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში, უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ სფეროში შესრულებული ხელშეკრულებები, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და დადასტურებული ანგარიშფაქტურები.
- ✓ <u>იმ შემთხვევაში თუკი კომპანია ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და ის მაინც მიიღებს აუქციონში მონაწილეობას და გამოვლინდება გამარჯვებულად, „რკინიგზა“ უფლებას იტოვებს უარი თქვას მასთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმებაზე და შესაბამისად, არ დაუბრუნოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალება (საბანკო გარანტია/„ბე“-ს სახით განსაზღვრული თანხა).</u>

- აუქციონში მონაწილე კომპანიამ, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მომხმარებლებისათვის უნდა უზრუნველყოს, უწყვეტი 24 საათის განმავლობაში ცხელი ხაზის მოქმედება, რის შესახებაც ინფორმაცია უნდა განათავსოს აპარატებზე, საკონტაქტო ტელეფონების მითითებით, მათ შორის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, რომელზედაც დაფიქსირდება ინფორმაცია აპარატების გაუმართაობაზე, ან მგზავრთა მხრიდან გამოთქმული პრეტენზიები, რომელსაც უნდა მოყვეს მათი მხრიდან მყისიერი რეაგირება.

ოპერატორი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი ცხელი ხაზის მომსახურება უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ უნდა იყოს არანაკლებ სამ ენოვანი (ქართული, ინგლისური და რუსული)
- ✓ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ 2 (ორი) ერთეული ოპერატორით (მომხმარებლის მეორე ოპერატორთან გადართვის ფუნქციით), რათა ოპერატიულად განხორციელდეს თანადროული (პარალელური) ზარების მიღება და მომხმარებლებს არ მოუწიოთ ოპერატორ(ებ)თან ხანგრძლივ მოლოდინის რეჟიმში ყოფნა;
- ✓ სასურველია უცხოელი მგზავრებისათვის (რომლებსაც არ აქვთ ქართული ნომერი ან/და არ სურთ როუმინგით ზარის განხორციელება ქართულ ნომერზე) ინტერნეტ პლატფორმ(ებ)ზე მხარდაჭერა;
- ✓ ცხელ ხაზზე შესულ ზარებზე უნდა ხორციელდებოდეს ოპერატიული და ეფექტური რეაგირება;
- ✓ ოპერატორმა კომპანიამ, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, უნდა წარმოადგინოს ცხელ ხაზზე დაფიქსირებული პრეტენზიების ანგარიში.
- ✓ ოპერატორი კომპანიის ვალდებულებაა, ვენდინგ აპარატებში განთავსებულმა პროდუქციამ (გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი) დააკმაყოფილოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის უვნებლობის ყველა მოთხოვნა.

- <u>აუქციონში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს იმ კომპანიამ რომელსაც უფიქსირდება სს „საქართველოს რკინიგზასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი ან/და დებიტორული დავალიანება. იმ შემთხვევაში თუკი ასეთი კომპანია მაინც მიიღებს აუქციონში მონაწილეობას და გამოვლინდება გამარჯვებულად, კომპანია უფლებას იტოვებს უარი თქვას მასთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმებაზე და შესაბამისად, არ დაუბრუნოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალება</u> („ბე“-ს სახით განსაზღვრული თანხა).

- აუქციონში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 კვირის ვადაში, საკუთარი სახსრებით განახორციელოს ყველა აპარატის სათანადო მოწყობილობ(ებ)ითა (ტელემეტრია, კავშირის მიმღები მოდემები, გამაძლიერებლები, ინტერნეტკავშირი და სხვა) და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა, რათა მგზავრების მიერ შესაძლებელი იყოს აპარატებიდან პროდუქციის შეძენა (ეროვნულ ვალუტაში) პლასტიკური ბარათით (საბანკო ტერმინალით), ქაღალდის ფულითა და მონეტებით - ამასთანავე აპარატების ონლაინ მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით.

6. ანგარიშსწორების პირობები და საჯარიმო სანქციები:

- **„ბე“-ს მიზნებისათვის**, ერთი თვის საიჯარო ქირაში მოიაზრება: GRS ტიპის მატარებელში სავაჭრო აპარატების ჯამურ ქირას დამატებული, GRT ტიპის მატარებლებში სავაჭრო აპარატების ჯამური ქირა, დამატებული GRT-სერიის ჩქაროსნულ მატარებლებში - საკვები პროდუქტების სავაჭრო აპარატებისა და ცხელი სასმელების აპარატების განთავსებისთვის საჭირო ფართის ჯამური საიჯარო ქირა, დამატებული სადგურ „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში“ განთავსებული ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა და დამატებული თბილისის სალოკომოტივო დეპოში სასაწყობე ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა (შესაბამისად, „ბე“-ს ჯამური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება 4 თვის საიჯარო ქირის ოდენობით, შეადგენს -- ლარს) .

- Stadler kiss ტიპის ორსართულიან GRS-სერიის მატარებლებში სავაჭრო აპარატების საიჯარო ქირა ყოველთვიურად (საშუალოდ 30 კალენდარული დღე) რეისის განხორციელების არეალში მოხვედრილ 1 (ერთ) საკვები პროდუქტების აპარატზე შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, შესაბამისად, ერთ მატარებელზე (იგულისხმება ოთხვაგონიანი მოძრავი შემადგენლობა, სადაც განთავსებულია ორი საკვები პროდუქტების სავაჭრო აპარატი) ყოველთვიურად საიჯარო ქირა შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ---------- ლარს ერთი მატარებლის მიერ საანგარიშო თვეში, ყოველდღიურად ორი რეისის (თბილისი-ბათუმი, ბათუმი-თბილისი) შესრულების პირობით. ამასთან,

- თუ საანგარიშო თვეში, ერთი GRS სერიის მატარებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული რეისების (თბილისი-ბათუმი ან ბათუმი-თბილისი) რაოდენობა ნაკლები იქნება ამავე თვეში ერთი მატარებლის მიერ შესაძლო შესასრულებელი რეისების რაოდენობაზე (რაც გამოითვლება საანგარიშო თვეში დღეების რაოდენობის ორზე გამრავლებით), ასეთ შემთხვევაში, საანგარიშო თვეში თითოეულ მატარებელზე საზღაური გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული რეისების რაოდენობის შესაძლო შესასრულებელი რეისების რაოდენობასთან ფარდობის ---------- ლარზე გამრავლებით დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ---------- ლარზე გამრავლებით.

- თუ საანგარიშო თვეში ერთი GRS სერიის მატარებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული რეისების (თბილისი-ბათუმი ან ბათუმი-თბილისი) რაოდენობა მეტი იქნება ამავე თვეში ერთი მატარებლის მიერ შესაძლო შესასრულებელი რეისების რაოდენობაზე (რაც გამოითვლება საანგარიშო თვეში დღეების რაოდენობის ორზე გამრავლებით), ასეთ შემთხვევაში, საანგარიშო თვეში თითოეულ GRS სერიის მატარებელზე საზღაური გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული რეისების რაოდენობის შესაძლო შესასრულებელი რეისების რაოდენობასთან ფარდობის ---------- ლარზე გამრავლებით დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით ---------- ლარზე გამრავლებით.

- GRT სერიის (ჩინური) ჩქაროსნულ მატარებლებში ყოველთვიური საიჯარო ქირა ერთ მატარებელში საკვები პროდუქტების ერთი აპარატისთვის შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ---------- ლარს; ცხელი სასმელების ერთი აპარატის განთავსებისათვის შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ---------- ლარს. შესაბამისად, ერთ მატარებელში 1 (ერთი) კვების აპარატისთვის და 1 (ერთი) ცხელი სასმელების აპარატის განთავსებისთვის განკუთვნილი ფართის ერთი თვის ჯამური საიჯარო ქირა შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ----------(---) ლარს.

- თბილისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 66 კვ.მ. სასაწყობე ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს ---------- ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით ---------- ლარს დღგ-ს ჩათვლით.

- სადგურის „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“ (კოპიტნარი) მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში 1 (ერთი) სავაჭრო აპარატის განთავსებისთვის 1 კვ.მ. ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს ---------- დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით - ---------- ლარს დღგ-ს ჩათვლით.

- „მოიჯარემ“ წინასწარი ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს კალენდარული თვის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ერთი თვის საიჯარო ქირის წინასწარი გადახდით, რომელიც დაანგარიშებული იქნება რეისების შესაძლო **მაქსიმალური რაოდენობის** გათვალისწინებით და ფართების (თბილისის სალოკომოტივო დეპოსა და სადგურში „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“ განთავსებული ფართები) საიჯარო ქირის დამატებით და შეადგენს ---------- **ლარს დღგ-ს გარეშე**.

- მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების -- პუნქტის თანახმად, განხორციელდება შესაბამისი თვის საიჯარო ქირის ზუსტი ოდენობის დაანგარიშება, შესაბამისი თვის ავანსად ჩარიცხულ და ფაქტიურ თანხას შორის სხვაობა გათვალისწინებული იქნება მომდევნო თვის ავანსად გადასახდელ იჯარის თანხაში.

- ყოველი საანგარიშსწორებო თვის ბოლოს „მეიჯარის“ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ დგება ცნობა ორ ეგზემპლარად თვის განმავლობაში Stadler kiss ტიპის ორსართულიან GRS-სერიის მატარებლების რაოდენობისა და მათ მიერ ფაქტიურად შესრულებული რეისების შესახებ ხელშეკრულების---პუნქტის შესაბამისად, ერთი თვის საიჯარო ქირის გამოთვლით. ცნობა არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 2 (ორი) სამუშაო დღისა ხელმოწერით პირადად ბარდება „მოიჯარის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს. აღნიშნული ცნობის ხელმოწერაზე „მეიჯარის“ მხრიდან უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“-ს მაგისტრალური მიმოსვლის სამსახურის უფროსი.

- ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ საანგარიშსწორებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო აპარატის გაუმართავობა გავლენას არ ახდენს საიჯარო ქირის გადახდაზე და „მოიჯარე“ ჩვეულებრივ განაგრძობს ანგარიშსწორებას.

- იმ შემთხვევაში თუ GRT სერიის რომელიმე მატარებელი ტექნიკური მიზეზის გამო ვერ შეასრულებს განრიგით გათვალისწინებულ რეისს, მხარეთა შორის შედგება ორმხრივი აქტი და მატარებლის

გაჩერების მთელი პერიოდის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება **„მოიჯარეს“ არ წარმოეშობა.**

- საიჯარო ქირა ირიცხება „მეიჯარის“ შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე:
ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE67TB1159136020100001.

- საზღაურის დადგენილ ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში „მოიჯარეს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ამასთან, „მოიჯარეს“ პირგასამტეხლო დაეკისრება იმ მომენტამდე, სანამ ძირითად დავალიანებას საანგარიშო თვის მიხედვით სრულად არ დაფარავს.
პირგასამტეხლო „მოიჯარეს“ ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

- თუ „მოიჯარეს“ მხრიდან პირდაპირ არ იქნება მითითებული, თუ რომელ დავალიანებას ფარავს, „მოიჯარის“ მიერ ჩარიცხული თანხით დაიფარება ჯერ პირგასამტეხლო და ზიანი, ხოლო შემდგომ - დავალიანების ძირი თანხა (საიჯარო ქირა).

- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით.

იჯარით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - სს „საქართველოს რკინიგზაში“.

ინფორმაცია ქონების შესახებ - 2 19 97 21; მობ. 591 19 99 28.
აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებით - 2 601 601.